თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. თელავი **2018** წლის **15** ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს" თავმჯდომარე მაია ხუციშვილი, თანადამფუძნებლები: ნინო ბეციაშვილი და ბერდია არაბული

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: უჩა ჭოტიაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ათეულობით მოზარდს ესაჭიროება ამ სახის სერვისი, რომლის მისაღებად მშობლებს უხდებათ შვილების თბილისში წაყვანა და ეწევიან დიდ ხარჯებს, ამასთან ერთად სერვისს ა(ა)იპ უსასყიდლოდ მიაწვდის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ამდენად მიზანშეწონილია პროექტის მხარდაჭერა.

უჩა ჭოტიაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი